№ 47, ხუთშაბათი, 5 დეკემბერი 1896 წ. 1896 ხუთშაბათი, 5 დეკემბერი 1896 წ. № 47

რედაქცია:
ფრეილინის ქუჩა, № 13.
ტფილისი

ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხ. გამავრცელ. საზ." წიგნის მაღაზიას.

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა.

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპ.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 10 კ., მეოთხეზედ 5 კ.
ადრესი
Тифлисъ, Фрейлинская № 13
редакція „Цнобисъ Пурцели".

## მიიღება ხელის მოწერა დამდეგის 1897 წლისათვის

ვინც ამ თავითვე წლიურად გამოიწერს, მას გაზეთი იანვრამდე მუქთად მიუვა. მიუვა აგრეთვე მუქთად საქართველოს კალენდარი 1897 წლისა.

**წლიური ფასი ექვსი მანათი.**

თამბაქოს ქარხანა

**ნ. ბოზარჯიანცისა**

ტფილისში

არსებობს 1858 წლიდან

მაღაზია და საწყობი იმყოფება სასახლის ქუჩ., სათავ.-აზნ. ქარვასლაში.

ჩვენის ქარხნის თამბაქოს ნაწარმოებნი დაჯილდოებულ არიან რუსეთის თუ საზღვარ-გარეთის ყველა მსოფლიო გამოფენებზე.

მსურველთათვის მუდმივ იყიდება მაღაზიაში ნამდვილი ოსმალური და ადგილობრივი თამბაქო.

დიდი ხნის არსებობა და გამოცდილება ჩვენის ქარხნისა სრულს საშუალებას გვაძლევს დავაკმაყოფილოთ ყოველი მყიდველი კარგის და სასიამოვნო მოსაწევი თამბაქოთი.

მყიდველთა ყურადღებას მივაქცევთ ჩვენის ქარხნის თამბაქოზე, რომელიც გირვანქა 1 მან. 52 კაპ. ღირს და სხვა ქარხნებში-კი იმავე ღირსების თამბაქო ღირს 3 მან. აგრეთვე ჩვენი ქარხნის პაპიროსები სამ აბაზიანი ასი ცალი შეადარეთ სხვა ქარხნების მანეთიან პაპიროსებს.

საუკეთესო ოსმალური თამბაქო ღირს 4 მ.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთა შეკვეთას ვასრულებთ სწრაფად და სინიდისიერად.

მუდმივ მყიდველებს შესაფერს სარგებელს ვუკლებთ.

ქალაქ გარეშე მცხოვრებნი თუ 5 მან. ღირებულ თამბაქოს გამოიწერენ, მაღაზია გაგზავნის ხარჯს თვითონ კისრულობს.

პატივისცემით ნ. ბოზარჯიანცი.

(3—2 ფ.)

**სასწავლებელი და პანსიონი**

ა. ტერ-აკოფოვისა.

იყვანს მოწაფეებს სახლიდგან მოსიარულეებს და პანსიონერებსაც. ამზადებს მეხუთე კლასამდე შესასვლელად გიმნაზიებს, რეალურ სასწავლებელსა, კადეტთა კორპუსსა და სხვა სასწავლებლებში მისაღებად. ქართველებს ქართულსაც ასწავლიან. მოწაფენი მიიღებიან 6 წლისა და მეტისა. ადრესი: ტფილისი, განოვის ქუჩა, № 11. (13—9)



**პანცერი და გლუხოვსკი**

ვ ტფილისი, სასახლის ქუჩა, სარაჯევის სახლი (ეზოში).

ახლად გაღებულ ქარხნის საწყობი

**საკერავი მანქანებისა**

ნამდვილის ზინგერ-ნაუმანის და სხვა გამოჩენილ სისტემის მანქანები: ოჯახებისათვის და ხელოსნებისათვის. ფასები ქარხნისაა. (15—ფ.—7)

## რედაქციისაგან

ხელ-ახლად ვაუწყებთ იმ ახალ ხელის-მომწერთა, რომელნიც გვისაყვედურებენ, შიგა და შიგ თითოოროლა ნომრები დაგვაკლდათო, რომ „ცნობის ფურცელი", თუმცა ამ ჟამად 2200 ეგზემპლიარი იბეჭდება, მაგრამ ცალკე ნომრების გაყიდვის გამო, ზოგი ნომრები რედაქციას სრულებით არ მოეპოვება და ამიტომ თავისდა უნებურად ვერ აკმაყოფილებს ახალ ხელის-მომწერლებს.

შემდეგისათვის რედაქცია, რომ თავიდამ აიცილოს საყვედური და თვით ხელის მომწერთაც მიუვიდეთ ხვედრი ნომრები, უმორჩილესად სთხოვს ყველას, დროისით შეატყობინონ რედაქციას გაზეთის დაკვეთის სურვილი, რათა რედაქციამ, ხელის მომწერთა რაოდენობის მიხედვით, დაიჭიროს ანგარიში და დაჰბეჭდოს სამყოფი რიცხვი გაზეთისა.

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—2 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

გ. მ. ჩიქოანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.

ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.

ა. მ. ზუგინოვი. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პროტასევიჩი. 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. მ. ზუგინოვი. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

ა. ბ. ბურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

ა. ბ. ბურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ).

**სამკურნალო და ამბულატორია**

**ს. ბ. თოფურიასი**

ქუთაისში

სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგანს და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ბ. თოფურია.

საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს—ფ. ქ. ბერრატი.

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კობანი.

თვალების ავადმყოფობას—ი. ქ. ვარშავსკი.

ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.

ამკურნალოს დირექტორი ს. ბ. თოფურია. (წ.)

**ექიმი**

**უ. მ. ჩიქოვანი**

ავადმყოფთ იღებს ყოველ დღე დილის 11—12 საათამდე და საღამოს 6—7 მდე.

მიხეილის ქუჩა, № 16.

**კბილის ექიმი**

**ვ. ი. ჯიჯინაძე**

ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინოვისა, 21, „ივერიის" რედაქციის ქვეშ.

ავადმყოფებს მიიღებს დილის 9—3 და საღამოს 4—7 საათამდე.

Вышла изъ печати и продается новая книга:

# ЭСКИЗЫ И ЭТЮДЫ

Ил. Хонели (И. Л. Бахтадзе).

Содержаніе: Отъ автора.—„Доглаурія“.—Быль—Какъ „въ старину живали дѣды“.— Князь-отщепенецъ. — Рамхотъ.— Горе Исаіи.—Въ мірѣ фантазіи.—Легенда о Гандегили. — Амцуха-леки.— Смерть.— Сновидецъ.—Дервишъ.—Имеретинскій катеръ.—На цѣпи.—Кулисъ-карскій кюре.— Спасенная святыня.

**ЦѢНА 1 РУБЛЬ.**

Съ требованіями обращаться: въ контору редакціи „Кавказа“, въ канцелярію „Общества распространенія грамотности среди грузинъ“, а также въ книжный магазинъ г. Бѣгичева.

Въ Кутаисѣ изданіе продается въ книжныхъ магазинахъ гг. Чиладзе и Церетели.

Печатается и скоро выйдетъ въ свѣтъ брошюра того-же автора: „Къ 100-лѣтію Крцанисской битвы“.

Содержаніе:—Къ 100-лѣтію Крцанисской битвы—Знамя Азатъ-Хана.—Герой Аспиндзи предъ судомъ „Хечагога“.

**ЦѢНА 30 КОП.**

## „ქალთა ამხანაგობის“ საზოგადო კრება

დანიშნულია 5 დეკემბერს, საღამოს 5 საათზე ა. როინაშვილის ფოტოგრაფიაში, ერეკნის მოედანზე.

გადასაწყვეტი საგნები:

1) დროებითი გამგეობის მოხსენება სამკერვალო სკოლის მოწყობაზე.

2) კომისიის მოხსენება იმაზე, თუ რა ხარჯი მოუვა საზოგადოებას სახელოსნო და სამკერვალო სკოლების მოწყობაზედ,

3) მოხსენება ბ-ნ როინაშვილისა აბრეშუმის საქსოვ მანქანის მოწყობაზედ.

4) სარევიზიო კომისიის მოხსენება საზოგადოების კასის მდგომარეობის შესახებ. (2—2)

# დეპეშა

გაზეთ „ცნობის ფურცლისა“.

(„რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან“.)

3 დეკემბერი

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორი და დედოფალი ბრძანდებოდნენ ჰოლანდიის სურათების გამოფენაზე.

**პარიზი.** დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე 3 დეკემბერს გაემგზავრა პეტერბურგს.

**ვენა.** 2 დეკემბერს რუსეთის ელჩი ნელიდოვი გაემგზავრა სტამბოლს. სერბეთის მეფე კიდევ დარჩება.

**სტამბოლი.** 30 ნოემბერს. ყველა ელჩებმა საერთოდ განიზრახეს ოსმალოს მთავრობა აიძულონ, რომ კრიტიდან უკან დაიბაროს სეიდ-ედდინ-ფაშა.

**ათინა.** ხმები დადის, რომ დამდეგს გაზაფხულზე აზრათ აქვთ მაკედონეთი გაანთავისუფლონო.

**სოფია.** გენერალი პაპრიკოვი დანიშნულ იქმნა საგენერალო შტაბის უფროსად.

**ვაშინგტონი.** ამერიკის შეერთებულ შტატებში გავრცელებულმა ხმამ, რომ კუბაზე აჯანყებულთა წინამძღოლი მაცეს ღალატობით მოუკლავთო, დიდი და შემზარავი შთაბეჭდილება მოახდინა. სენატორმა კალიმ წინადადება შეიტანა, რომ გარეშე საქმეთა კომიტეტმა დაუყოვნებლივ მოსთხოვოს ესპანიას ამ მკვლელობის შესახებ ჯეროვანი ახსნა და აგრეთვე განთავისუფლება ამერიკის ყველა იმ მკვიდრთა, რომელნიც მონაწილეობას ღებულობდნენ კუბის აჯანყებაში და რომელნიც ციხეში არიან დამწყვდეულნიო.

**პეკინი.** ლი-ხუნგ-ჩანგმა დეპეშით აცნობა ჩინეთის საზღვარ გარედ დარჩენილ სადამოენო დაწესებულების ინსპექტორს დეტრინგს, რომ იგი ჩინეთს დაბრუნდეს.

## გუშინდელი დეპეშა.

**პარიზი.** სენატი. ბოდენი დაეკითხა მთავრობას, მართალია თუ არა იტალიის „მწვანე წიგნში“ მოხსენებული ამბავი, რომ ობოკში გუბერნატორად ნამყოფი ლაგარდი აბისინეთის მეფის მენელიკის და საფრანგეთის ზედ გავლენის წინაალმდეგ მხარს აძლევდა გენერალ ბარატიერსო. კოლონიათა მინისტრი გაფიცხებით უარ ჰყოფს ამ ჭორებს და ამბობს ლაგარდის პატრიოტობაზედ. ბოლოს დასძენს, რომ ამ ჟამად თუ ლაგარდი ისევ ობოკში იგზავნება მთავრობის მინდობილობით, მხოლოდ იმიტომ, რომ ეგ თვითონ მენელიკმა მოისურვაო (ტაში-ცემა). სენატი ამ პასუხით სრულებით დაკმაყოფილდა.

2 დეკემბერს გრაფი მონტებლო გაემგზავრა პეტერბურგს.

**ბერლინი.** „ჩრდილო გერმანეთის გაზეთი“ დავალებულია საყოველთაოდ უარ-ჰყოს ის ხმები, ვითომც ხონთქრად ნამყოფი მურადი გამოიქცაო. მურადი წინანდებურად სცხოვრებს ისევ ჩირაგანის სასახლეში ბოსფორზე. სულთან მურადი ამ ჟამად გონება შერყეულია და მიტომ არც გაქცევა შეუძლიან სადმე.

**ვენა.** იმპერატორი ოთხშაბათს მიიღებს სერბეთის მეფეს კერძო აუდენციაში. დღეს დილით მეფე ალექსანდრემ ინახულა გრაფი გოლუხოვსკი და დარჩა მასთან ნახევარი საათი.

**კოპენჰაგენი.** ლაურვიკიდან (ნორვეგიაში) დეპეშით იუწყებიან, რომ დილის 9 საათზედ მიწის ძვრა იყოვო; შენობები ინძრეოდენ; კორლშტადში (შვეციაში) ორჯელ ძლიერ შეინძრა მიწაო,

# ახალი ამბავი

**სადღესასწაულო პარაკლისი.** პარასკევს, 6 დეკემბერს, ხელმწიფე იმპერატორის ნიკოლოზ ალექსანდრეს ძის სახელწოდების დღეს, ექსარხოსის ეკლესიაში მისი მაღალყოვლად უსამღვდელოესობა გარდაიხდის წირვას და სამადლობელს პარაკლისს.

*** ამბობენ რომ 29 ნოემბერს, ალექსანდრეს ბაღში მოკლული თათარი ყოფილა სპარსეთის ქვეშევრდომი იბრაჰიმ-მანად-ოღლი, ხელობით ხარაზი. მკვლელიც ოსმალეთის ქვეშევრდომი მაშადი მუსები ყოფილა, რომელსაც პოლიცია დაეძებს.

*** **სოფ. ასკანა** (ოზურგეთის მაზრა): მთელი სოფელი დიდს მადლობას სწირავს ბ-ნს სოლომონ ჭეიშვილს, რომელმაც შემოიტანა სოფელში განათლება, დააარსა სამკლასიანი სასწავლებელი და ბიბლიოთეკა და გარდა ამისა, რითაც-კი შეძლება აქვს შველის თავის სოფელს.

*** **საყურადღებო ამბავი ქუთაისის გუბერნიისთვის.** ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლმა თ. წერეთელმა დეპეშით სთხოვა მთავრობას, რკინის გზით სიმინდის გადასატანი ფასი შეამციროთ ქუთაისის გუბერნიისთვისო. პეტერბურგიდგან ამბავი მოვიდა, რომ მთავრობას ეს თხოვნა შეუწყნარებია.

*** **მოსამსახურეთა საყურადღებოდ.** რუსეთის ერთმა გაზეთმა მიაქცია ყურადღება მოსამსახურების ბედს. «რა მოელის მოხუცს მოსამსახურეს»? რა თქმა უნდა, სიღარიბე და სილატაკე, რადგანაც ძნელად თუ მოსამსახურემ თავის ჯამაგირიდგან ფული რამ შეინახა. საზოგადოება სრულებით არა ზრუნავს დაუძლურებულ მოსამსახურისათვის, თუმცა იგი მთელს სიცოცხლეს ამ საზოგადოებას ემსახურება. ავაზაკებისათვის, უზნეო ქალებისთვის და მათხოვრებისთვის არსებობს სხვა-და-სხვა დაწესებულება, მხოლოდ დაუძლურებულ მოსამსახურისთვის-კი არაფერი“.

დიაღ, ამ საქმეს საჭიროა ყურადღება მიექცეს და რადგანაც საზოგადოება გულგრილად ექცევა მოსამსახურეებს, საჭიროა, თვით მოსამსახურეები ეცადნენ, რომ როგორმე თავიანთი მდგომარეობა გააუმჯობესონ და ერთმანერთს დაეხმარნენ.

*** **სამკურნეო საზოგადოების კრება**, რომელიც დანიშნულია დღეს, სხვათა შორის, მოისმენს ს. მ. ზავაროვის მოხსენებას შესახებ მის მოგზაურობისა ერევნის და ყარსის გუბერნიებში. კრებაზე უცხო პირთაც შეუძლიანთ დაესწრნენ.

*** **სპარსეთის ფოსტის მინისტრი** მუნირ მიულქი ამ დღეებში თავრიზიდგან მოვა კავკასიაში და აქედგან თეირანს წავა.

*** **უბედურება ტრამვაისაგან.** გუშინ ტფილისში ორი უბედურება მოხდა. ავჭალის ქუჩაზედ, კოლანოვისა და ალიბეგოვის ტრამვაის ვაგონმა გაიტანა ერთის მალაკნის ოთხის წლის ბავშვი. ბავშვი საშინლად დასახიჩრდა, ასე რომ ადამიანის სახე აღარც კი ედო და იქვე გარდაიცვალა.

იმავე დღეს მიხეილის ქუჩაზედ ტრამვაისავე ვაგონმა გაიტანა 13 წლის ყმაწვილი, რომელიც ძლიერ დაშავდა.

ეს უკვე 31 მსხვერპლია ტფილისის ტრამვაისა მას აქეთ, რაც იგი გაიმართა. დაშავებულთა რიცხვი ხომ აუარებელია. საჭიროა, ქალაქის გამგეობამ მომეტებული ყურადღება მიაქციოს ტრამვაის მოქმედებას.

*** **ქართული ეკლესიური გალობა.** ქართველ საზოგადოებას უთუოდ ეხსომება შარშან ბ. იოს. მონადირაშვილმა რომ ხორო შეადგინა და ბ. ბენაშვილისაგან ნოტებზედ გადაღებული ქართული ეკლესიური გალობა შეასწავლა. როდესაც შარშანვე ამ ხორომ იგალობა ქვაშვეთის ეკლესიაში, საზოგადოებას ძლიერ მოეწონა. რადგან ეს ხორო მხოლოდ იმიტომ იყო ხელი-და-ხელ შემდგარი, რომ საზოგადოებისათვის ბ. ბენაშვილის ეკლესიური ჰარმონია მოესმენინებინა, ამიტომ ხორო ამ წარსულს ზაფხულს დაიშალა.

როგორც შევიტყეთ ბ. მონადირაშვილს ეხლა ახლად შეუდგენია ხორო, რომელშიაც უკვე ოცდაათამდე ქალი და ვაჟი იღებს მონაწილეობას და კიდევ მრავალთ განუზრახავთ ამ ხოროში შესვლა. რამდენიმე ვარჯიშობა უკვე ჰქონიათ და ამბობენ ნინოობას, 14-ს იანვარს, სიონის ტაძარში წირვაზედ ზოგიერთ საგალობლებს იგალობებენო.

ამასთანავე პატივცემულ მონადირაშვილს განუზრახავს დიდმარხვაში საქველმოქმედო აზრით საეკლესიო კონცერტი გაჰმართოს, თუ ხოროში მონაწილეთ გულ-ციობა და გულგრილობა არ გამოიჩინეს, როგორც თითქმის ყოველს ქართულს დაწყობილებას დაჰყვება ხოლმე.

*** **ტელეფონის მავთულებს გაბმა.** ტელეფონის საქმე დღითი-დღე წინ მიდის. მოხელენი ესწრაფებიან სანამ კარგი დარები დაიჭირა ისევ, მალე მოვრჩეთ საქმესაო, რადგან წვიმა-თოვლიან დღეებში ძალიან ძნელია და ხშირად შეუძლებელიც ხდება რომელისამე სახლის კრამიტზედ ასვლა და მავთულების გაბმა. გოლოვინის პროსპექტზედ თითქმის ყველა მსურველთ დაუდგეს ტელეფონები. ეხლა სოლოლაკში აბამენ მავთულებს და ჩვენს რედაქციაშიც ამ ორი სამი დღის განმავლობაში გაგვიმართვენ ტელეფონს. მხოლოდ კუკიის ხიდზედ გაათავებენ თუ არა კაბელის გაყვანას, მაშინვე შეუდგებიან კუკიელთ. მსურველთათვის აპარატების გამართვას. როგორც აბონემენტთა სიიდგან სჩანს თბილისში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხლა უკვე ოთხასზედ მეტი ტელეფონი სდგას.

** ოდესა: რუსეთის საზოგადოების გემი «ბლესკი", რომელიც ამ დღეებში დაიღუპა, ეს მეორედ მიემგზავრებოდა ბათომიდამ ჰამბურგს, და ამ ხანად 194 ათასი ფუთი ნავთი მიჰქონდა. გემს განაგებდა კაპიტანი დინე, რომელიც ოცი წელიწადია დადის ოკეანეში. ინგლისის ზღვებში ამ ჟამად დიდი ღელვა და ბურუსი იყო; პლიმუტის ახლოს „ბლესკი» გამოაგდო ღელვამ ნაპირს, ბოლდგედოს და ბოლტეიხამის შუა, მეტის მეტად დაზიანებული. მოხელენი, რიცხვით 32, გადარჩნენ და გაემგზავრენ ოდესაში. გემის მდგომარეობა უიმედოა: ზვირთები ნაკუწ-ნაკუწ ამტვრევენ, არავითარი შველის იმედი არ არის. „ბლესკი" ახალი გემია, 1890 წ. გაკეთებული. ამავე გემზე მსახურებდა კაპიტნის თანაშემწედ ცნობილი მეზღვაური თავ. ად. მამუკისძე ჰავჰავაძე, რომელიც ეს მეორედ გარდარჩა საზარელ ზღვის ღელვას.

** ბ-ნ რატილის ხორის მოგზაურობა. ჩვენ შევიტყუეთ, რომ რატილის ქართული ხორო ამ თვის 28-იდან მიემგზავრება ქ. ბათომს, ოზურგეთს, ქუთაისს და სხვაგან კონცერტების გასამართავად, რომლის შემოსავალიდგან რამდენიმე პროცენტი, გადადებულ იქნება საქველმოქმედო საქმისათვის; იმედია, იქაური ქართველობა ჩვეულებრივ თანაგრძნობას არ მოაკლებენ კონცერტის გამართვაში.

ერთი-ორი სიტყვაც ბ-ნ იოსებ რატილზე. ეს პატიოსანი პირი აგერ მეცხრე წელიწადია, რაც შემოგვეკედლა ჩვენ ქართველებს და უსასყიდლოდ წინ მიუძღვის ჩვენ ეროვნულ მუსიკას & დაუღალავად მუშაობს მის აღორძინებისათვის. ბ ნ რატილს მრავალ-ჯერ უმოგზაურნია ჩვენის ქვეყნის სხვა და სხვა კუთხეში და შეუგროვია მრავალი სახალხო სიმღერები, როგორც ქართული, ისე გურული და იმერულიცა. საკვირველია ამ პატიოსანი და ერთგული მუშაობისათვის ჩვენს სასოგადოებას არაფრით დახმარება არ აღმოუჩენია თუ მხედველობაში არ ვიქონიებთ თითო-ოროლა კერძო პირების ნივთიერად დახმარებას. ჩვენის აზრით, დროა ქართველ საზოგადოებამ ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს, ბ-ნ რატილის უანგარო შრომას ეროვნულის მუსიკის აღორძინებაში და დახმარება აღმოუჩინოს ნივთიერად თუ არა, ზნეობრივ მაინც.

** გადამდები ავადმყოფობა. 16 ნოემბრიდგან 23 ნოემბრამდე ოფიციალურ ცნობით ტფილისში ავად გამხდარა: ქუნთრუშით 7, ხუნაგით 1 და ყვავილით 1.

** მოსკოვი: რუსეთის საიმპერატორო ისტორიულ მუზეუმის დარბაზებში გაიმართა გამოფენა სხვა-და-სხვა ისტორიულ ნავთებისა. გამოფენას დაარქვეს: „რუსული კვირა პარიზში" და მეტათ საინტერესოა.

** იქიდანვე: რუმიანცევის მუზეუმში გაიმართა გამოფენა ხელთნაწერებისა და სურათებისა ყველა იმ პირთა, რომელთაც ულვაწნიათ ეკატერინა II დროს რუსეთში. გამოფენა ამ თვის ბოლომდინ გასტანს. ამ გამოფენის აღწერა დაიბეჭდება ჩვენს გაზეთში.

** იქიდანვე: აქ საშინელი სიცივეები დაიწყო. გუშინ რეომიური 20/° იდგა. დღეს თუმცა ნაკლებია ყინვა, მაგრამ მაინც 15/° მეტია.

** ახალი მადნეპა. ქვემო აჭარაში სახელმწიფო მიწებზედ ბ-ნმა სიმეონიდიმ აღმოაჩინა ვერცხლისა, სპილენძისა და ტყვიის მადნები და ნება-რთვაც აიღო მთავრობისაგან ამ მადნების წარმოებისა. 1897 წლის შემოდგომაზე ბ-ნი სიმეონიდი ხსენებულ ადგილზედ მადნეულობის ქარხანას გამართავს.

** სამეგრელო: დეკემბრის 10—11 მიწვეულია ახალ-სენაკში სამეგრელოს სამღვდელოების დეპუტატთა კრება. კრებამ უნდა განიხილოს და გამოიკვლიოს ოთხ-კლასიანი სასულიერო სასწავლებლის ბედ იღბალი. დღეს ამ სასწავლებლის საქმე მეტად არეულ-დარეულია. რადგანაც, როგორც ყველამ ვუწყით, 8 ნოემბერს ხსენებული სასწავლებელი ცეცხლმა იმსხვერპლა და ახლა, როგორც ხმა დადის, ფოთელებს უნდათ სასწავლებლის გადატანა ახალ-სენაკიდანო. თუ ეს ხმები გამართლდა და ფოთში გადიტანეს ეს სასწავლებელი, მაშინ ვგონებთ მოსწავლე ბავშვების რიცხვი მალე შემცირდეს, რადგან ფოთში ბავშვების შენახვა და მათი გამოკვება ერთი—ორად მეტი დაუჯდება ჩვენს უიმისოდაც ღარიბს სამღვდელოებას. ახალ-სენაკში კი სულ იოლად გამოდიან ბავშვების მშობლები. ამასთანავე ქ. ზუგდიდი და დ. მარტვილის მცხოვრებთათვის ფოთი ერთობ შორი იქნება. ჰაერით და წყლით, უეჭველია, უპირატესობა სენაკს ეკუთვნის.

** გორი: კვირას, 24 ნოემბერს, მთელი საღამო სთოვდა და იმ ღამესვე იმოდენა თოვლი დასდო, რომ მარხილები მუშაობდნენ. მაგრამ მეორე დღეს მზემ თვალი გაახილა და მაშინდელი მოსული თოვლი სულ გაალხო. წინა კვირას თოვლმა გააჭირა საქმე და ეხლა—ტალახმა; გორის ქუჩებზედ მთელი ტბები სდგას ტალახისა და ისეთი ღრმაც არის, რომ ზოგს აღაგას ურემსაც-კი უჭირდება გავლა. მაგრამ ვინ არის ამის ყურის მგდებელი. დღისით ხომ გვიძნელდება ქუჩებში გავლა; მაგრამ ღამეა რაც არის, თორემ დღისით რა უჭირს. ღამის სიბნელეში, თვალი არ სჭრის, სად უფრო თხელი ტალახია, ფარნები თითო ვერსზე ერთი თუ ბჟუტავს, ამასობაში ბევრჯელ ყოფილა მაგალითი, რომ გამვლელი ღამე მუხლამდინ ჩავარდნილა ტლაპოში. ამ ცუდის დარებით და ცივის ზამთრით სოფლელებმა ისარგებლეს და შეშაზედ ფასი ძლიერ ასწიეს. თითო უბრალო პატარა ურემ შეშას ცეცხლის ფასათ ჰყიდიან, ხუთ-ექვს მანათად. გორში პურიც აგრეთვე გაძვირდა, ფუთი ფქვილი ღირს 90 კ.—100 კაპ.

რადგანაც გორის თვით—მმართველობას იმოდენა შეძლება არა აქვს, რომ ერთსა და იმავე დროს ქალაქის თავისა ორ-ორი თანაშემწე დააკმაყოფილოს ჯამაგირით, ამიტომ ბ. თბილისის გუბერნატორმა საბუთიანადაც არ დაამტკიცა ქალაქის თავის მეორე თანაშემწედ ანუელო ანდრონიკოვი, ამორჩეული ილია ალიხანოვის მაგიერად, რომელმაც სამსახურს თავი დაანება წრეულ ოკტომბერშივე. ეხლა ხმოსნებს ჰსურთ ქალაქის საქმეებისთვის ვექილი აიყვანონ წლომით, მაგრამ არ ვიცით კი რად უნდათ მეტი კაცი. წინედ კი არა ჰყვანდათ და, ჩვენის აზრით, არც ეხლაა საჭირო, მარტო ტყუილ უბრალო ხარჯი მოგვივა, და ამ ჟამად კი ქალაქი გორი იმისთანა მდგომარეობაშია, რომ გამგეობის წევრებსაც კი ძლივ ასდის, არამც თუ ახლა ვექილსაც ფული აძლიოს—წელიწადში 600 მან. ხელგაშლილობა კარგი რამ არის, მაგრამ გადაჭარბებული ბედოვლათობა სიბოროტეზე უარესიაო.

** სოფ. ჩაგაანთ უბანი (გორის მაზრა). თან და თან უფრო ცუდი წელიწადები გვიდგება. წრეულს პური ისრე ცოტა მოვიდა, რომ იანვარში სასყიდელი გაგვიხდება. ბევრი საწყალი გლეხ-კაცობა იძულებულია, თავის ცოლშვილს თავი დაანებოს და გადიკარგოს სადმე ამ ზამთრობით. ან კი რა ქნას საწყალმა შიმშილს გაუძლოს, სიტიტვლეს, უსაქონლობას, სიცივეს თუ ბეგარას და სხვა-და-სხვა ხარჯს. ღვინისას ნულარას ბრძანებთ. ვისაც ორმოცი კოკა მოსდიოდა, წრეულ ათი თუნგი მოუვიდა და ისიც ყოვლად უხეირო. ან კი რა უნდა მოვიდეს, როდესაც მეტი წილი ვაზი გახმა ავადმყოფობის გამო და გაკაფეს.

** სოფ. ნატოჩაო (სენაკის მაზრა): ძალიან ადრე დაგვიზამთრდა. ამ ერთი კვირის წინად დასთოვა და საკმაოდ დაფარა მთა-ველი. მცხოვრებნი შეწუხდნენ, რადგანაც ზამთრისათვის არ იყვნენ მომზადებულნი, მას აქეთ არ გადაუდარებია. მცხოვრებთა სავაგლახოდ ვერ იქნა და ვერ მოემატა სიმინდს ფასი. ფუთი სიმინდი დღეს ახალ-სენაკში მიტანილი ღირს 35 კაპ. ეს ფასი ერთობ მცირეა სიმინდისათვის.

ჩვენს სოფელში სასიამოვნო ამბავი ის არის, რომ გაგვეხსნა სამრევლო პირველ-დაწყებითი სკოლა, რომლის მასწავლებლად დაუნიშნავთ ბ-ნი ტრიფონ კალანდარიშვილი. იმედია ბ-ნი კალანდარიშვილი საზოგადოებაში ნდობას დაიმსახურებს და თავის მოვალეობასაც პირ-ნათლად გაუძღვება... მადლობის ღირსია თავმჯდომარე გურია-სამეგრელოს ეპარქიალურ სამოსწავლო რჩევისა ბლაღოჩინი არისტარხოს კალანდარიშვილი, რომელიც, იმედია, ვითარცა განათლებული და გამრჯელი მწყემსი არ დაიზარებს შემდეგშიაც ამგვარ საკეთილო საქმეების მეთაურობას და გაძღოლას მით უფრო, რომ, როგორც ყველამ უწყის, სამეგრელო სწავლა-განათლების მხრით ძალიან დაქვეითებული და უკან ჩამორჩენილია საქართველოს სხვა კუთხეებზე...

** ბათომი: ყოველ წლობით ათასობით მიდიან ქაბაში სალოცავად აზიის სხვა და სხვა კუთხეში მცხოვრებნი მოსლემანები, რომელნიც ბათომიდგან შავი ზღვით მიემგზავრებიან არაბეთში. ბათომში ამათთვის თავ-შესაფარი სახლი არ არის და გემების მოლოდინში ხშირად ცის ქვეშ ათევენ ღამეს. მარტო ოროლა ყავახანა ვერ იტევს მლოცველებს და მიტომ ბევრი უწესობა ხდება ხშირად ამ ყავახანებში. ყავახანის პატრონები ხარბობენ და თვითოეული მათგანი ცდილობს მლოცველები თავისს ყავახანაში მოათავსოს და იმას-კი არ დასდევენ, რომ მათი სადგომი ვერ დაიტევს ამდენს ხალხს. ამ მლოცველების ბილეთის დამოწმებისათვის და გემის ბილეთის აღებისათვის გემრიელ ლუკმას გამოელიან და ამისთვის აქვთ გაუთავებელი შუღლი და ჩხუბი ერთმანეთთან ყოველ მატარებლის მოსვლის დროს. ასეთივე ამბით შეხვდნენ ესენი 2 დეკემბრის ჩამოსულ მატარებელს. როდესაც ერთი ამათთაგანის მ. ა. ა—ვის მსახურები მიუძღოდენ მლოცველებს თავიანთ ყავახანისაკენ, ამ დროს დაუხვდენ მეორე ყავახანის პატრონის ხ—ინის ჯოხებით შეიარაღებულნი მსახურები, დაერივნენ ა—ვის მსახურებს და გაიმართა ნამდვილი ომი: ერთი მეომართაგანი მუსაოლლი დანით დასჭრეს და საბრალო გამოასალმეს მარცხენა თვალს. სასურველია, რომ ამ გამუდმებულს უწესობას ბოლო მოეღოს და მეყავახანეთა თავ-გასულობა აილაგმოს...

** ხევი: ნოემბრის 18-ს, ღამე დაიწყო თოვა და ისეთი დიდი თო-

ვლი ჩამოყარა აქ, რომ აგერ დღეს ერთი კვირაა და თვით გზა-ტკეცილ გზის მახლობლად მდებარე სოფლებიდანაც ხალხი სამუშაოდ ვერ გამოსულა. თუმცა ცხენებიიაც ეცდებიან გზის გაქნას და სამუშაოდ გამოსვლას, მაგრამ ყოველივე მეცადინეობა ცდადვე რჩება და რადგან ცხენი თოვლში მუცლამდე ეფლება, ამიტომ ვერას ხდებიან. თოვლის სიმაღლე ზოგან ორი არშინია და ზოგან-კი ამაზე მეტიც.

წელს ჯერ ქერისა და თივის მოსავალი არ მოგვივიდა და იმან გვაზარალა და ახლა ამას ზედაც ესეთი მძიმე ზამთარი დაემატა. სიმინდს ჩვეულებისამებრ კიდევაც მოვიწევდით კავკავიდან, მაგრამ საქონელი რითღა გამოვკვებოთ, როდესაც დარიელის ყელში კარანტინი ჩაგვიყენეს და საქონლის გამოსაკვებავად გარეკის ნებაც არა გვაქვს?

## პოლიციის მატიანე

*** 27 ნოემბერს, გორის მაზრის სოფელ მსხლების მცხოვრები შამილ ცხოვრებაშვილი, საღამო ხანზედ, დიდ ლიახვის ხიდზედ გადიოდა; ამ დროს იმავე სოფლის მცხოვრებმა რაჟდენ ცხოვრებაშვილმა რევოლვერით დასჭრა.

## თეატრის მატიანე.

*** არტისტ ქალის გ. ჩერქეზიშვილის ბენეფისი. დრამატიულ კომიტეტს ელ. ჩერქეზიშვილისათვის ამ თვის 11-ში დაუნიშნავს ბენეფისი ათის წლის სამსახურისათვის ქართულ სცენაზე.

*** სომხური თეატრი. დღეს სომხური დასის არტისტები წარმოადგენენ არაქსიანის საბენეფისოდ ავ. ცაგარლის პიესას „ხანუმას". სხვათა შორის ამ წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი სცენის არტისტები ბ-ნნი ვ. აბაშიძე და გ. გედევანოვი. წარმოდგენის დასასრულ ბ. არაქსიანი კუპლეტებს იმღერებს.

# პეტერბურგის ბირჟა

### კურსები და ფონდები.

პეტერბურგი, 3 დეკემბერი 1896 წ.

| | |
|---|---|
| ვექსელ. კურსი 3 თვით: | |
| ლონდონისა 10 გირ. სტ—ში | 93,45 |
| ბერლინისა 100 მარკაში | 45,70 |
| პარიზისა 100 ფრანკში | 37,15 |
| მდგომარეობა ვექს. კურსისა | მშვიდია |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 7,50 |
| ტამოჟ. კუპ. (100 მ. მეტ.) | 149 |
| ბირჟის დისკონტი | $5\frac{3}{4}$—7% |
| 4% სახელმწიფო რენტა | $99\frac{1}{8}$ |
| 4% შინაგანი სესხი 1 სერიისა | $98\frac{3}{4}$ |
| $4\frac{1}{2}$% „ „ 1893 წლ. | 101 |
| $4\frac{1}{2}$% გირავ. ფურც. სათ.-აზნ. საად.-მამულთა ბანკისა | $100\frac{7}{8}$ |
| 4% „ „ „ „ „ | $97\frac{1}{2}$ |
| $4\frac{1}{2}$% მოწმ. საკრ. საად.-მამ. ბ. | 101 |
| 5% მომგ. ბილ. პირველ შ. სესხ. 1864 წ. | $293\frac{3}{4}$ |
| 5% მომგებ. ბილ. მეორე შ. სესხ, 1866 წ. | $254\frac{3}{4}$ |
| 5% მომგ. გირ. ფურ. სახელ. სათ.-აზნ. საად.-მამ. ბანკ. | $212\frac{3}{4}$ |
| „ ოქროს რენტა 1884 წ. | — |
| $4\frac{1}{2}$% გირ. ფურ. ურთ. შორის საად.-მამ. საკრ. საზოგად. | 155 |
| 5% სახელ. რკინ. გზ. რენტა | $101\frac{3}{4}$ |
| $4\frac{1}{2}$% კონსოლ. რკ. გზ. ოქრ. 1890 წლ. | $101\frac{3}{4}$ |
| „ „ 2 გამ. 1892 წლ. | $101\frac{1}{8}$ |
| 4% ობლ. კონ. რკ. გზ. ოქ. | $152\frac{3}{4}$ |
| $4\frac{1}{2}$% ობლიგ. კიევი-ვორონეჟ. რკინის გზ. | 101 |
| „ ობლ. რიაზ.-ურალ. რკ. გზ. | 101 |
| „ ობლ. სამხრ.-აღმოს. რკ. გზ. | 101 |
| 4% ობ. მოსკ.-კოზლ. რკ. გზ. | 97 |
| $4\frac{1}{2}$% სესხი ქ. პეტერბურგ. | $98\frac{1}{4}$ |
| $4\frac{1}{2}$% „ „ ქ. ოდესისა | 94 |
| 5% ობლ. პეტერ. საკრ. საზ. | $101\frac{1}{2}$ |
| $4\frac{1}{2}$% „ „ „ „ | $98\frac{1}{8}$ |
| 5% მოსკოვისა | $100\frac{7}{8}$ |
| $5\frac{1}{2}$% ობ. ოდეს. საკრ. საზ. | 100 |
| 5% „ „ | $99\frac{5}{8}$ |
| 5% ტფილისის | 98 |
| $5\frac{1}{2}$% გირავნ. ფურც. ხერს. | $100\frac{1}{8}$ |
| 5% საად. მამულთა ბანკისა | $100\frac{1}{4}$ |
| $4\frac{1}{2}$% „ „ „ „ | $94\frac{5}{8}$ |
| 5% „ „ ბესარ.-ტავრ. საად.-მამულთა ბანკ. | $100\frac{1}{4}$ |
| $4\frac{1}{2}$% „ „ „ | 94 |
| 5% ვილენის | $100\frac{1}{4}$ |
| „ დონისა | $100\frac{1}{4}$ |
| „ კიევისა | $100\frac{3}{4}$ |
| $4\frac{1}{2}$% „ | 95 |
| 5% მოსკოვისა | $100\frac{3}{8}$ |
| „ ნიჟ-სამარისა | $100\frac{3}{4}$ |
| „ პოლტავისა | $100\frac{3}{4}$ |
| $4\frac{1}{2}$% „ „ | 95 |
| 5% ტულისა | $100\frac{3}{4}$ |
| „ ხარკოვისა | $101\frac{1}{4}$ |
| $4\frac{1}{2}$% „ | $95\frac{5}{8}$ |
| 6% ტფილ. საად.-მამ. ბანკ. | 101 |
| 5% „ „ „ | $98\frac{7}{8}$ |
| 6% ქუთაის. საად.-მამ. ბანკ. | 101 |
| 5% „ „ „ „ | $98\frac{7}{8}$ |
| აქციები პეტერ. კერძო კომ. ბ. | 538 |
| „ პეტ. უჩოტ. და სესხ. | $737\frac{1}{2}$ |
| „ პეტ. ერთა-შორებრივ. | $657\frac{1}{2}$ |
| „ რუსეთის შინაგ. ვაჭ. | 483 |
| „ ვოლგა-კამას კომერ. | 1335 |
| „ პეტერბ.-მოსკოვის კომ. | 423 |
| „ პეტ.-აზოვის კომ. | 424 |
| „ რუს. სავაჭ.-სამრ. ბან. | 384 |
| „ აზოვი-დონის კომ. ბან. | 630 |
| „ ვარშავ. კომერ. | 508 |
| „ მოსკოვ. საერთაშ. ბან. | 467 |
| „ ციმბირისა | 700 |
| „ ბეს.-ტავრ. საად.-მამ. ბ. | 635 |
| „ ვილენისა | 625 |
| „ დონისა | 700 |
| „ კიევისა | 780 |
| „ მოსკოვისა | 735 |
| „ ნიჟეგოროდ. და სამარის | 690 |
| „ პოლტავისა | 613 |
| „ პეტერ.-ტულ. საად.-მ. ბ. | 408 |
| „ ხარკოვის საად.-მ. ბან. | 487 |
| „ პეტერბ. განათ. საზოგ. | 137 |
| პაიები ძმ. ნობელის სანავთო საზოგად. | 9875 |
| აქციები „ „ „ | 490 |
| „ პუტილ. ქარხნის საზოგ. | $119\frac{1}{2}$ |
| „ ბრიანის რელს. მწარმ. მეტ. ქარხ. | $510\frac{1}{2}$ |
| აქციები ქარხ. საზ. „სორმ." | 235 |
| „ რუს. და ბელგ. მეტალ. | 275 |
| „ მალცევის ქარხნებისა | 638 |
| „ რუს. ოქრ. საზოგად. | 290 |
| „ რუს. დ. მზ. საზ. 1827 წ. | 1540 |
| „ „ „ „ 1835 წ. | 835 |
| „ დამზ. საზ. „სალამანდრა" | 500 |
| „ პეტერ. დამზღ. საზოგ. | 445 |
| „ მოსკოვ. დამზღვ. საზოგ. | 820 |
| „ დამზღ. საზ. „როსსია" | 401 |
| „ საზ. „რუსს. ლლოიდ" | 1100 |
| „ რუს. საზოგ. საქონლის დაზღვ. და გაგზავნ. | 139 |
| „ დამზღვევი საზოგად. კ. „ნადეჟდა" | 215 |
| „ რუს. საზოგ. სანავოსნო და სავაჭრო | 600 |
| „ საზ. „კავკაზ და მერკურ" | 440 |
| „ ნავოსნ. დნეპრზე | $97\frac{1}{2}$ |
| „ მოსკ.-ყაზანის რკ. გზ. | 490 |
| „ კიევი-ვორონეჟ. | 455 |
| „ რიბინსკისა | 174 |
| „ სამხრეთ-აღმ. რკინ. გზ. | 185 |

მდგომარეობა ფონდის ბაზრისა—მშვიდია.


ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1897 ГОДЪ

на ежемѣсячный литературно-научный и политическій журналъ

# СѢВЕРНЫЙ ВѢСТНИКЪ

(годъ изданія XII).

Въ 1896 г. въ „Сѣв. Вѣстн." было, между проч., напечатано: „Карьера Струкова" Пов. А. Эртеля. „О развитіи русскаго народнаго хозяйства" Проф. А. Исаева. «Трильби». Ром. Ж. дю-Морье. «Изъ писемъ Т. Н. Грановскаго». „Любовь и ревность у дѣтей" Д ра В. Якубовича. «Въ Дудкѣ» Пов. Вас. Немировича-Данченко. „О направленіяхъ современной эстетики" Э. Радлова. „QUO VADIS" Ром. Ген Сенкевича. „Воспоминанія о А. И. Герценѣ" Н. Тучковой Огаревой. „Любовь" Ром. О. Шапиръ. «Наслѣдственность пола» Е. „Чижоаа. Въ капканѣ" Пов. П. Боборыкина. „Дѣтство и отрочество П. И. Чайковскаго» М. Чайковскаго. „Двѣ новеллы: а) «Наука любви к б) Любовь сильнѣе смерти" Д. Мережковскаго. «Новѣйшая испанская литература» Проф. А. Шепелевича. „Зеркала" Пов. З. Гиппіусъ. «Сѣверный полюсъ и путешествіе Нансена» М. Венюкова. «Фридрихъ Нипше» Оч. Л. А. Саломэ. «Жилищная нужда рабочихъ классовъ» Д. Герценштейна. „Гоголь и А. О. Смирнова въ 1842—44 гг." В. Шенрока. „Новая французская школа въ музыкѣ" и „Ново-германская музыка" А. Коптяева. „Александръ Дюма" и „Новыя теченія во французскомъ романѣ" З. Венгеровой. „Новая побѣда науки" А. Гершуна. „Богъ театра" Разск. Я. Крюковскаго. „Идея Илліады" Н. Минскаго. „Таможенное разоружеоіе» В. Бирюковича. „Истнрія одного идейнаго преступленія" Проф. И. Оршанскаго. „Письма къ М-ше Віардо и Г. Флоберу И. С. Тургенева". „Искусство и дѣйствительность" Изъ соч. Дж. Рескина. „Реорганизація С.-Петербургскаго и Московскаго Комитетовъ Грамотности" Н. Арефьева. „Къ звѣздамъ" Раз. Ѳ. Сологуба. „Москва и Римъ" Проф. А. Брикнера. «Польскій публицистъ-художникъ» К. Льдова. „Тургеневъ и Толстой" Проф Д. Овсянико-Куликовскаго. „Новая Женщина и Разводъ" П. Тверского. „Женскіе типы въ трагедіяхъ Расина" Проф. Ѳ. Батюшкова. „Сельско хозяйственные отхожіе промыслы" В. Бирюковича. „Плоскогорье" Ром. М. Гуревичъ. „Нѣмецкій студентъ конца вѣка" Проф. А. Трачевскаго. «Атомизмъ и энергетизмъ" Проф. А Введенскаго. «На конкурсѣ». Раз. А. Стерна., и мн. друг — Стихи: Н. Минскаго. Д. Мережковскаго, З. Гиппіусъ, К. Льдова, К. Фофанова, К. Бальмонта, Ѳ. Сологуба, О. Чюминой и др.

**Постоянные отдѣлы въ журналѣ:**

I. „ВОПРОСЫ САМООБРАЗОВАНІЯ" (Статьи проф. И. Боргмана, проф. А. Козлова, проф. В. Шимкевича, проф. К. Поссе, проф. Л. Шепелевича. Н. Усова, проф. А Брикнера и др). II. Областной Отдѣлъ". III. Земскій Отдѣлъ" (Статьи: „Земское и городское самоуправленіе" М. Стиваля, „Земскія финансы" В. Бирюковича, „Взаимное земское страхованіе" П. Ск—скаго, «Земское и городское самоуправленіе» П. Кузнецова и др.). IV. «Провинціальная печать» Л. Горева. V „Внутреннее Обозрѣніе". VI. „За предѣлами Европейской Россіи (Статьи: „Въ Сибири", «Кому просвѣщать Сибирь»? „Земство въ Сибири". „Ссылка въ отдаленныя мѣста Сибири", „Земская школа въ Сибири" и др. Н. Арефьева. „Кавказъ" М. П., „Прибалтійскій край" П. К., „Привислянскій край" М. П. «Финляндскія дѣла» П. Кузнецова). VII. Корреспонденціи изъ заграницы. VIII. Изъ жизни и литературы". IX. „Критика" X. «Библіографія». XI „Литературныя замѣтки" А. Волынскаго (Статьи: Власть тьмы", „Современная русская беллетристика», «Философскія теченія въ русской поэзій", «Книга Куно-фишера о Шопенгауэрѣ», „Два послѣднихъ романа Золя", «Польскій романистъ Сенкевичъ» и др.). XII. Журнальное Обозрѣніе XIII. „Политическая лѣтопись» Проф. А. Трачевскаго.

**Подписная цѣна на журналъ понижена (безъ измѣненія объема и состава книжекъ). Разсрочка для иногороднихъ приспособлена къ удобствамъ почтовой пересылки денегъ:**

**Условія подписки:**

| | Годъ | 1/2 г. | 1/4 г. | 1 мѣс. |
|---|---|---|---|---|
| Для иногородныхъ | 12 р. | 6 р. | 3 р. | 1 р. |
| „ городскихъ (съ дост.) | 11 „ | 5 „ 50 к. | 2 „ 75 к. | 90 к. |
| „ заграничныхъ | 14 „ | 7 „ | 4 „ | |

ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ въ Гл. Конторѣ, Спб., Троицкая, 9; въ Москвѣ, въ Отдѣл. Конт. книжн. магаз. К. Тихомирова, Кузнецкій мостъ; въ кн. маг. Карбасникова, „Новаго Времени". Печковской и др.

Редакторъ Издательница Л. Я. Гуревичъ.

10—1


Дозволено цензурою. Тифлисъ, 4 го Декабря, 1896 г. სტამბა მ. შარაძის და ამხ. ხიკ. ქ. № 21. —რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნი